**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის**
**სხდომის ოქმი №9**

ქ.ლანჩხუთი 22.07.2019 წელი
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვირკველია.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
**არ ესწრებოდა:** კახა ასკურავა .

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ .

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 3**

**წინააღმდეგი -0**

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

**1.დღის წესრიგის პირველი საკითხი-** 1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

ვერიკო კვირკველიამ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის ვენე კვირკველიას განცხადება, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში გაწევრიანების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 40-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს წევრი უნდა იყოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც. აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობაში ცვლილების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე-3**
**წინააღმდეგი – 0**

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2017 წლის 24 ნოემბრის № 95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**2.სხვადასხვა საკითხები.**

ვინაიდან კომისიის წევრების მიერ სხვა საკითხები არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**იურიდიულ საკითხთა და ეთიკის**

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №9

ქ.ლანჩხუთი — 22.07.2019 წელი

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დასკვნა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის განკარგულებაში ცვლილების განხორციელების საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2017 წლის 24 ნოემბრის №95 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**22.07.2019** წელი
**12:00** საათი

| | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ვერიკო კვირკველია | 12.00 | |
| 2 | კახა ბოლქვაძე | 11:55 | |
| 3 | გოდერძი ქურიძე | 11:55 | |
| 4 | კახაბერ ასკურავა | [illegible] | |